

## სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
<b>1</b>	<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3	საკონტაქტო პირი	გიორგი თეთრაული
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	<a href="mailto:gtetrauli@geostat.ge">gtetrauli@geostat.ge</a>
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (400)
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
<b>2</b>	<b>მეტამონაცემების განახლება</b>	
2.1	მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2020 წ. 15 მაისი
2.2	მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2020 წ. 15 მაისი
2.3	მეტამონაცემების ბოლო განახლება	2020 წ. 15 მაისი
<b>3</b>	<b>სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა</b>	
3.1	მონაცემების აღწერა	სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წარმოდგენს სატელეკომუნიკაციო მომსახურების ღირებულების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით.
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსის სტრუქტურა შეესაბამება საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაციის (Statistical Classification of Products by Activity – CPA 2008) ევროპულ სტანდარტს.
3.3	სექტორის მოცვა	სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი მოიცავს სადენიან, უსადენო, თანამგზავრულ და სხვა სატელეკომუნიკაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რაც შეესაბამება CPA 2008-ის ინფორმაციისა და კომუნიკაციის (J) სექციის 61 განყოფილებას – სატელეკომუნიკაციო მომსახურებები.
3.4	სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	ქვეყნდება შემდეგი მონაცემები: <ul style="list-style-type: none"> <li>• სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით;</li> <li>• სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.</li> </ul>
3.5	სტატისტიკური ერთეული	დაკვირვების სტატისტიკური ერთეული არის ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაცია, რომელიც ეწევა სატელეკომუნიკაციო სფეროში მომსახურებას.
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასების ინდექსის გაანგარიშებისთვის ორგანიზაციების შერჩევის საფუძველს

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		წარმოდგენს საწარმოთა სტატისტიკის მონაცემები. შერჩევის ბაზა მოიცავს 90-მდე ორგანიზაციას, რომელთაგან 2020 წელს შერჩეული იქნა 22 ორგანიზაცია. შერჩევის შედეგად ხდება ერთობლიობის 90%-ით დაფარვა (ღირებულებით გამოხატულებაში).
3.7	საანგარიშო არეალი	ფასების შეგროვება ხდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა).
3.8	დროის მოცვა	2020 წლიდან.
3.9	საბაზო პერიოდი	წინა თვე, წინა წლის შესაბამისი თვე.
4	<b>ზომის ერთეული</b>	ინდექსი.
5	<b>საანგარიშო პერიოდი</b>	თვე.
6	<b>ინსტიტუციური მანდატი</b>	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ"; <a href="https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf">https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</a> სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa</a> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. <a href="https://geostat.ge/media/20600/10%62Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf">https://geostat.ge/media/20600/10%62Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</a>
6.2	მონაცემთა გაზიარება	-
7	<b>კონფიდენციალურობა</b>	
7.1	კონფიდენციალურობა – პოლიტიკა	<p>1. საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ":</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება.</li> <li>• კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</li> <li>• კანონის 29-ე მუხლის (საქსტატის ორგანოებში დასაქმებულთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა) თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება.</li> </ul> <p><a href="https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf">https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</a></p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ <a href="https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf">https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</a> 3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ <a href="https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf">https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</a> 4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. <a href="https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437">https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</a>
7.2	კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.</li> <li>• საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.</li> </ul>
<b>8</b>	<b>გამოქვეყნების პოლიტიკა</b>	
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	<a href="https://www.geostat.ge/ka/calendar">https://www.geostat.ge/ka/calendar</a>
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
<b>9</b>	<b>გავრცელების სიხშირე</b>	ყოველთვიური.
<b>10</b>	<b>ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა</b>	
10.1	პრეს-რელიზები	პრეს-რელიზი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსის შესახებ ყოველთვიურად ქვეყნდება საქსტატის ვებ-საიტზე. მასში მოცემულია ყოველთვიური და წლიური მონაცემები და ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები. რელიზი ასევე მოიცავს სხვადასხვა ჭრილში ფასების დინამიკას გრაფიკის სახით. პრეს-რელიზი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/news?year=&amp;month=&amp;category=7">https://www.geostat.ge/ka/news?year=&amp;month=&amp;category=7</a>
10.2	პუბლიკაციები	-
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის სტატისტიკის სამსახურის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/27/mtsarmoebeta-da-importis-fasebis-indeksi">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/27/mtsarmoebeta-da-importis-fasebis-indeksi</a>
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	-
10.5	სხვა	-
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია განთავსებულია სტატისტიკის სამსახურის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/122/methodologia-fasebis-statistika">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/122/methodologia-fasebis-statistika</a>
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
<b>11</b>	<b>ხარისხის მართვა</b>	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2	ხარისხის შეფასება	საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
12	<b>შესაბამისობა</b>	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: <ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის დეფლირების პროცესში;</li> <li>• გამოიყენება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თუ სხვა თანხების ინდექსაციისთვის;</li> <li>• წარმოადგენს ანალიტიკურ ინსტრუმენტს ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისა და მკვლევარებისთვის.</li> </ul> ინდექსის ძირითადი მომხმარებლები არიან: საჯარო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვლევარები და სტუდენტები, მედია საშუალებები და სხვა დაინტერესებული პირები.
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkhmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli">https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkhmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli</a>
12.3	სისრულე	მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
13	<b>სიზუსტე და სანდოობა</b>	
13.1	ზოგადი სიზუსტე	მონაცემების სიზუსტე უზრუნველყოფილია კვლევის და გაანგარიშების მეთოდების შესაბამისობით საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან.
13.2	შერჩევითი ცდომილება	ინდექსების შერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. არსებული ერთობლიობიდან კვლევის მიზნით გაკეთებული შერჩევის მოცულობა ოპტიმალურია, კვლევის მიზნებისა და შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით.
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	ინდექსების არაშერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. ამ სახის ცდომილების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ინდექსის გაანგარიშების ეტაპი მოიცავს კონტროლის რამდენიმე დონეს.
14	<b>დროულობა და პუნქტუალურობა</b>	
14.1	დროულობა	მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 19-22 რიცხვში.
14.2	პუნქტუალურობა	მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15	<b>თანამიმდევრულობა და შესადარისობა</b>	

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
15.1	შესადარისობა – გეოგრაფიული	ფასების შეგროვება ხდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი შესაბამისი საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე. ფასების შეგროვებისა და ინდექსის გაანგარიშების პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო მეთოდოლოგიას და მასთან სრულ შესაბამისობაშია. გარდა ამისა, ყველა რეგიონში ფასების შეგროვება ხდება ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემების შესადარისობას ქვეყნის შიგნით.
15.2	შესადარისობა – დროში	ინდექსები შესადარისია მთელი პერიოდისთვის.
15.3	თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	მონაცემები თანამიმდევრულია.
	თანამიმდევრულობა – შიდა	ინდექსები შესაბამისობაშია საწყის მონაცემებთან – ინდექსები აგრეგირებულ დონეზე მიიღება უმცირესი დონის ინდექსების საფუძველზე, მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის მეშვეობით.
16	<b>დანახარჯები და დატვირთვა</b>	ფასების სტატისტიკური გამოკვლევების წლიურმა ბიუჯეტმა (მოიცავს როგორც სამომხმარებლო, ისე მწარმოებელთა და იმპორტის ფასებს) 2020 წელს შეადგინა 191 790 ლარი.
17	<b>მონაცემთა გადასინჯვა</b>	
17.1	მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა	სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf">https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf</a>
17.2	მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა	მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) 2019 წელს არ მომხდარა.
18	<b>სტატისტიკური დამუშავება</b>	
18.1	პირველადი მონაცემები	სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსის გასაანგარიშებლად შერჩევაში ხვდება ინფორმაციისა და კომუნიკაციის (J) სექციის 61 განყოფილების შესაბამისი ყველა მსხვილი და საშუალო ზომის ორგანიზაცია, ხოლო მცირე ორგანიზაციები – შერჩევითი წესით. მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსების გასაანგარიშებლად ორგანიზაციების შერჩევის შემდეგ ხდება მათი გამოკვლევა განხორციელებული მომსახურების მახასიათებლების განსასაზღვრად. ამ მიზნით შერჩეულ ორგანიზაციებს ყოველი წლის დასაწყისში ეგზავნებათ დამატებითი ელექტრონული კითხვარები, სადაც ორგანიზაციას მოეთხოვება მიუთითოს წინა წლის განმავლობაში მის მიერ სტაბილურად განხორციელებული ოთხი (არარსებობის შემთხვევაში ოთხზე ნაკლები) ძირითადი სახეობის მომსახურება და თითოეული ამ მომსახურების სახეობის წილი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ მთელ მომსახურებაში. აუცილებელია თითოეული მომსახურების მახასიათებლების დაზუსტება და დეტალურად აღწერა. ფასების რეგისტრაციის დროს სპეციფიკაციების ზედმიწევნით დაცვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რათა ყოველთვიურად დარეგისტრირებული ფასთაშორისი სხვაობა გამოწვეული იყოს მხოლოდ ფასის ცვლილებით და არა მომსახურების მახასიათებლების ცვლილებით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხორციელდება თითოეული მომსახურების ფასის რეგისტრაცია.
18.2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 1-დან 8 რიცხვის ჩათვლით პერიოდში.
18.3	მონაცემთა შეგროვება	სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ფასების რეგისტრატორების მიერ.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>კითხვარში დაფიქსირებულია შერჩეული ოთხი სატელეკომუნიკაციო მომსახურების სახეობა, ზომის ერთეული, საბაზო, წინა თვისა და საანგარიშო თვის ფასები, ფასის ცვლილების შემთხვევაში კომენტარი ფასის ცვლილების მიზეზის შესახებ.</p> <p>ელექტრონული კითხვარი ივსება ონლაინ-რეჟიმში. ორგანიზაცია კითხვარს ავსებს დამოუკიდებლად ან რეგისტრატორის დახმარებით. ონლაინ-კითხვარები განთავსებულია შემდეგ მისამართზე:  <a href="http://database.geostat.ge/portal/ent/index.php">http://database.geostat.ge/portal/ent/index.php</a>.</p> <p>კითხვარების ნახვა ასევე შესაძლებელია საქსტატის ვებ-საიტზე, შემდეგ მისამართზე:  <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/557/questionnaires-fasebis-statistika">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/557/questionnaires-fasebis-statistika</a></p>
18.4	მონაცემთა კონტროლი	<p>სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების მონაცემთა კონტროლი ხორციელდება ორ ეტაპად: <b>პირველ ეტაპზე</b> კონტროლი ხორციელდება ფასების რეგისტრაციის სავსელ სამუშაოების პარალელურად. ფასების ცვლილებისას კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელ პირს ევალება კომენტარის საშუალებით ფასის ცვლილების მიზეზის მითითება. რეგისტრირებული მონაცემების ცენტრალურ ოფისში წარდგენის შემდეგ ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და ლოგიკური კონტროლი შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ. <b>მეორე ეტაპზე</b> ფასების სისწორის გადამოწმება ხდება მთლიანი ინდექსის გაანგარიშების შემდეგ. ინდექსი საიმედოდ ითვლება ზემოაღნიშნული კონტროლის ეტაპების გავლის შემდეგ.</p>
18.5	მონაცემთა გაანგარიშება	<p>სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსისათვის წონების გაანგარიშება ხდება ბიზნეს სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე. მიღებული წონები წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული სახეობის ღირებულების წილს ქვეყნის მასშტაბით გაწეული სატელეკომუნიკაციო მომსახურების მთელ მოცულობაში. საანგარიშო <math>t</math> პერიოდის წონებისთვის საბაზო პერიოდად გამოიყენება <math>t-2</math> პერიოდის მონაცემები. წონების განახლება ხდება ყოველწლიურად, რაც ეფუძნება შერჩეული ორგანიზაციების მიერ <math>t-2</math> პერიოდში გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მთელ მოცულობებს. წონების ყოველწლიური განახლების დროს შეიძლება შეიცვალოს ინდექსში შემავალი მომსახურების ჩამონათვალიც.</p> <p>სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშებისას უმცირესი დონის ინდექსს წარმოადგენს თითოეული მომსახურების ორგანიზაციის მიერ გაწეული ინდივიდუალური მომსახურებისთვის გაანგარიშებული ინდექსი.</p> <p>თუ საანგარიშო პერიოდში რომელიმე მომსახურებაზე ფასი არ დაფიქსირდა, მაშინ ინდექსის გაანგარიშებისას გამოიყენება იმპუტაციის ორი მეთოდიდან ერთ-ერთი: ზედა დონის ჯგუფის ინდექსის გამოყენება და შესაბამის ჯგუფში შემავალ მომსახურებაზე ფასის გამეორება.</p> <p>თუ საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ შეწყვიტა დასაკვირვებელი მომსახურების გაწევა, რომლის ფასებზეც ხორციელდებოდა დაკვირვება, ძველ და ახალ მომსახურებაზე დარეგისტრირებული ფასების შესადარისობისთვის საჭიროა ხარისხობრივი ცვლილების კორექტირების მეთოდის გამოყენება, რისთვისაც ხდება პირობითი საბაზო ფასის გაანგარიშება რამდენიმე მეთოდის გამოყენებით.</p>
18.6	მოსწორება	არ გამოიყენება.
19	კომენტარი	-